ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3186117

ნომერი: AR1487929

თარიღი : 20.03.2017

გაცემის თარიღი : 10.04.2017

გაცნობის თარიღი : 10.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 მარტის #3147423 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე უარის თქმის თაობაზე

ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017

წლის 20 მარტის #AR1487929 განცხადებით მომართაგიორგი ჭუმბურიძემ დამოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 14 მარტის #3147423 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 მარტის #3147423 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სოფელდიღომში, შპს"იჯი გრუპ"-ის საკუთრებაში არსებულმიწის ნაკვეთზე(ნაკვეთის საკადასტრო კოდი#01.72.14.094.514) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტისსაფუძველზე მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ვადაგანისაზღვრა 2017 წლის14 მარტიდან 2019 წლის14 მარტის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია შეთანხმებული პროექტის ბრძანებაში ნახაზისა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორება, კერძოდ: საზაფხულო ფართი უნდა იყოს 1301.5 კვ.მ., ნაცვლად 838.8 კვ.მ.-ისა, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი - 1107.5 კვ.მ., ნაცვლად 1115.0 კვ.მ.-ისა, შესაბამისად, საერთო ფართიც - 8515.9 კვ.მ., ნაცვლად - 838.8 კვ.მ.-ისა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია ტექნიკური შეცდომის გასწორება პროექტის შეთანხმების ბრძანებაში, ხოლო მითითებულია შეთანხმებული პროექტის საფუძველზე გაცემული მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები, ასევე, წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც არ შეესაბამება შეთანხმებულ პროექტში წარმოდგენილ გეგმებზე (.pdf ვერსია) მითითებული ფართების ჯამურ მაჩვენებელს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 მარტის #3147423 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის არსებობის ფაქტი არ დასტურდება. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ.